ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 4 პარილი, 2014 წ.

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებულ, N1148 კონკურსის საშუალებით ქ. ბათუმში, 9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრი: ~~ირაკლი სურმანიძე~~

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე

9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა
და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის
საკონკურსო კომისიის
ოქმი №1-2

ქ. ბათუმი, 4 აპრილი, 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ერმაკოვი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე-ქ. ბათუმის მერის მოადგილის მ/შ, მერის მ/შ;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე- ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი-საკონკურსო კომისიის წევრი- ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (მხატვარი);

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი - თვითმმათველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში;

მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ხელოვნებათმცოდნე;

ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი - ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი“;

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო - არქიტექტორთა საბჭოს თვმჯდომარე;

დუგლას ზამთარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი - არქიტექტორი.

დღის წესრიგი:	კონკურსის მეშვეობით 9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 28 თებერვალს გამოცხადებული N 1148 კონკურსის შედეგების განხილვა.
მოისმინეს:	საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა თამაზაშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომის წევრებს მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღების დასრულებამდე 2014 წლის 31 მარტის 15^{00} საათამდე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა სამმა კონკურსანტმა: ჯიმსონ გურგენიძემ (31.03.2014. 14:50 სთ), დავით ხუხუნაიშვილმა (31.03.2014. 14:48 სთ;), შპს „არქეოსი“ (31.03.2014. 12:05 სთ) . დალუქული პაკეტები საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2014 წლის 4 აპრილს, 11^{00} საათზე. კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტის მოთხოვნებს.
განიხილეს:	საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების ჯიმსონ გურგენიძის, დავით ხუხუნაიშვილისა და შპს „არქეოსი“-ს მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები, და მსჯელობის შედეგად მიიჩნია, რომ ნამუშევრების ვიზუალური მხარე და არქიტექტორული კონცეფცია ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე კონკურსანტები - ჯიმსონ გურგენიძე, დავით ხუხუნაიშვილი და შპს „არქეოსი“ ექვემდებარებიან დისკვალიფიკაციას.
კომისიამ დაადგინა:	1. იმის გათვალისწინებით, რომ კონკურსის მეშვეობით 9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში არ გამოვლინდა გამარჯვებული კონკურსი ჩაითვალოს უარყოფითად დასრულებულად და მიენიჭოს სტატუსი -„კონკურსი დამთავრებულია უარყოფითი შედეგით“ 2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს კონკურსანტებს: ჯიმსონ გურგენიძეს, დავით ხუხუნაიშვილს და შპს „არქეოსს“ . 3. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და თანდართული დოკუმენტაციის გადაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 4 აპრილისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: ირაკლი სურმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ვახტანგ ღლონტი

მაია ჭიჭილეიშვილი

ნინო ინაიშვილი

ზვიად ბურჭულაძე

დუგლას ზამთარაძე